ლადო გრძელიშვილი •

განათლების საკითხი საქართველოს პოლიტიკური პარტიების 2024 წლის საარჩევნო პროგრამებში

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს პოლიტიკური პარტიების 2024 წლის საარჩევნო პროგრამებზე დაყრდნობით განათლების საკითხის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. პირდაპირ ჩანს, რომ საქართველოში განათლების სისტემა ღრმა კრიზისის წინაშეა, რასაც პოლიტიკური ჩარევა, ფინანსური შეზღუდვები და ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ფონი კიდევ უფრო ამწვავებს. მასწავლებელთა განვითარების, ინსტიტუციური ავტონომიისა და სტუდენტთა მხარდაჭერის გარეშე საქართველო საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დაქვეითების საფრთხის წინაშე დგას. ქართული პოლიტიკური პარტიების 2024 წლის საარჩევნო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ განათლების საკითხს მხოლოდ მცირედი ყურადღება ეთმობა. გარდა ამისა, ზოგიერთი პარტიის საარჩევნო პროგრამა თავისი კლასიკური გაგებით, საარჩევნო პროგრამის კონცეფციაში საერთოდ არ ჯდება, რისი მიზეზებიც სტატიის დასკვნით ნაწილშია მიმოხილული.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, განათლება, საარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური პარტიები, ქართული ოცნება, ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ცვლილებისთვის, ძლიერი საქართველო, საქართველოსთვის.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

შესავალი

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, განათლების თეორიისა და პედაგოგიკის სპეციალისტის, ბიესტას (Biesta, 2009) აზრით, განათლების მიზნად შეგვიძლია სამი მთავარი მოცემულობა დავასახელოთ. პირველია კვალიფიკაცია, რაც ცოდნის შეძენას და უნარების/კომპეტენციის გამომუშავებას გულისხმობს, მეორე - სოციალიზაცია, რის შედეგადაც ჩვენ საზოგადოების წევრები ვხდებით, ხოლო მესამე - სუბიექტივიზაცია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტონომიისთვის, ინდივიდუალიზმისთვის და დამოუკიდებლობისთვის ხელის შეწყობა. გარდა აღნიშნულისა, განათლება შეგვიძლია სოციალური წინსვლის ინსტრუმენტად, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები სოციალური ფუნქციის მატარებელ ინსტიტუციებად განვიხილოთ. თუკი საქართველოში განათლების სისტემას ამგვარი პერსპექტივიდან შევხედავთ, ცხადია, რომ ის თავის ფუნქციას/როლს ვერ ასრულებს.

საკითხის აქტუალურობას საქართველოში განაპირობებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად განათლების დიდი მნიშვნელობისა, პოლიტიკური პარტიები განათლების პოლიტიკას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ, რაც არაერთი თვისებრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლით გამოიხატება. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, IV კვარტალში ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი სწორედ განათლების სფეროში იყო, რომელიც 1157 ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ განათლების სფეროს ისეთი საქმიანობები უსწრებდა, როგორიცაა წყალმომარაგება, დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები (1320 ლარი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (1463 ლარი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი (1873 ლარი) და სხვა. იმავე სტატისტიკის მიხედვით, პირველ ადგილზე ინფორმაციისა და

კომუნიკაციის სფერო იყო, რომლის მაჩვენებელიც 4309 ლარს შეადგენდა.

გარდა იმისა, რომ საქართველოში განათლების საკითხს სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება, საკითხის აქტუალურობას განაპირობებს საგანმანათლებლო სფეროში არსებობული უამრავი პრობლემა. მაგალითად, საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უკიდურესად შეზღუდულია, საგანმანათლებლო დაწესებულებების საკვანძო თანამდებობებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით აირჩევიან/ინიშნებიან, სკოლა (მასწავლებლები, დირექტორები) ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების ინსტრუმენტად იქცა, განათლებას ბავშვი/ახალგაზრდა ვერ იღებს, რადგან ხშირად განათლების ხარჯების დაფარვის ნაცვლად მოსახლეობას სხვა სოციალური (ეგზისტენციალური) საკითხების მოგვარებაზე ფიქრი და ზრუნვა უწევს, სკოლამდელი აღზრდა-განათლება, ისევე როგორც ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლება უკიდურესად შეზღუდული და არათანაბარია (ტერიტორიული/ფინანსური თვალსაზრისით) და მრავალი სხვა (ჭანტურია, 2024).

ქვეყანაში უკიდურესად რთული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს განათლებაზე ზრუნვის ნაცვლად პირადი განათლების სათანადოდ უზრუნველყოფაზე უწევთ ფიქრი, სწორედ ამიტომ, სტუდენტების დიდ ნაწილს სწავლის პარალელურად ერთ ან რამდენიმე ადგილას უწევს მუშაობა, რაც სწავლის ხარისხზე პირდაპირ ახდენს გავლენას.

თუკი PISA-ს (Program for International Student Assessment) მონაცემებს დავეყრდნობით, რომელმაც წაკითხულის გააზრებაში მოსწავლეთა კომპეტენციები შეაფასა, ირკვევა, რომ ქართველი მოსწავლეები განვითარებული და მათ შორის, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის მოსწავლეებს საგრძნობლად ჩამორჩებიან. კერძოდ,

აღნიშნულ კვლევაში საქართველო 79 ქვეყნიდან 70-71-ის ფარგლებში მოხვდა, რაც თავისთავად, საკმაოდ ცუდი შედეგია.

კითხვაზე, „რა არის ამჟამად საქართველოში განათლების სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი“, გამოკითხულ რესპონდენტთა 24%-მა განათლების დაბალი ხარისხი, 23%-მა მასწავლებლების/ლექტორების დაბალი კვალიფიკაცია, ხოლო 22%-მა უნივერსიტეტებში სწავლის მაღალი საფასური დაასახელა (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის დეკემბერი).

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემები რომ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს სამეცნიერო სფეროში განსაკუთრებით აქტუალური განათლების პოლიტიკისა და ადმინისტრირების საკითხები გახდა (Tabatadze & Dundua, 2022).

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი არის ის, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები აქტიურად ცდილობენ სისტემაში ცვლილებათა შეტანას. მაგალითად, გადაწყვეტილებათა მიმღებნი ხშირად კრიტიკულად, ხოლო რადიკალური ფორმების შემთხვევაში, მტრულად არიან განწყობილნი დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, რაც იწვევს იმას, რომ აღნიშნული ორგანიზაციები მხოლოდ სახელმწიფოს შესაბამისად ვითარდებიან. ასეთი მოცემულობის გამოძახილია ის, რომ საქართველოში სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა საკმაოდ სუსტია. თავად საგანმანათლებლო ორგანიზაციებიც, განსაკუთრებით სკოლები, სამინისტროს და მასთან დაკავშირებულ ბიუროკრატიას არიან დაქვემდებარებულნი (ჯანაშია, 2024).

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) სწორედ უმაღლეს განათლებაზე უთანასწორო ხელმისაწვდო-

მობის პრობლემას ეხებოდა. სტრატეგიის მიხედვით, საგანმანათ-ლებლო დაწესებულებების ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვ-დომობა, როგორც ჩანს, უპირველესი საზრუნავია და მთავრობა ამ კუთხით გეგმავს უმაღლესი განათლების ხარისხისა და ხელმისაწ-ვდომობის გაზრდას. მიუხედავად ამისა, ანგარიში სტუდენტურ სა-ცხოვრებელს არ განიხილავს, როგორც მთავარ ბარიერს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის და შესაბამისად, ვერ უზ-რუნველყოფს პრობლემის დაძლევის ყოვლისმომცველი სტრატე-გიის შემუშავებას. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სახელმწიფო მხარ-დაჭერა სტუდენტებისთვის ძირითადად, სტიპენდიებისა და სას-წავლო გრანტების მეშვეობით ხორციელდება (Zimmermann, 2022).

ტრაგიკულ მდგომარეობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სტუდენტთა დიდ ნაწილს, სწავლაზე კონცენტრირების ნაცვლად უწევს მძიმე და ირაციონალურ სამუშაო გარემოში ცხოვრება, მი-უხედავად უზარმაზარი დატვირთვისა, მათი სამუშაო ანაზღაურ-ება ზოგჯერ 300 ლარს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა სტუდენტებს ერთდროულად მოლა-რის, კონსულტანტის, მტვირთავის, საწყობის თანამშრომლის და კიდევ უამრავი სხვა ფუნქციის ერთად შესრულება უწევთ. შესა-ბამისად, საქართველოში არსებული უმძიმესი სოციალურ-ეკონო-მიკური პრობლემები განათლების ხარისხზე დიდ და ამასთან, საკ-მაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს. სტუდენტების ნაწილის განცხა-დებით, აღნიშნული გარემოება სტუდენტობის პერიოდიდ გახანგრ-ძლივებას პირდაპირ უწყობს ხელს, რადგან ყოველდღიური ხარჯე-ბის დაფარვის მუდმივი მცდელობა შეუძლებელს ხდის, რომ სტუ-დენტმა ბაკალავრიატის საფეხური 4 წელიწადში დაასრულოს (ნიქაბაძე, 2022).

ხარისხიანი საუნივერსიტეტო განათლება სტუდენტის პი-როვნული და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან შესაძ-ლებლობას ქმნის. თითოეული მოქალაქის ცნობიერების ამაღლება,

მათი უნარების განვითარება ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, დანაშაულთა რაოდენობის შემცირებას და საზოგადოების, მათ შორის სტუდენტების საერთო ცხოვრების დონის ამაღლებას. აქედან გამომდინარე, საქართველოში არსებული უნივერსიტეტების როლი გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ უნივერსიტეტების სასწავლო საქმიანობაზე, არამედ მათი ინიციატივით კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე და მთლიანად საზოგადოებაში ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე (Narmania & Kharkheli & Vardiashvili & Makasarashvili, 2022, P. 37).

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

2024 წლის 7 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო პროგრამა წარადგინა. საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ წარადგინა, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ეს იყო საარჩევნო პროგრამა, რომელიც რეალურად ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს აერთიანებდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეიცავდა დაახლოებით 20%-ს იმ აქტივობებისა, რომლებიც განხორციელდებოდა შემდეგი 4 წლის განმავლობაში. დროის სიმცირის გამო, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ ძირითად მიმართულებებზე გაამახვილებდა ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო მასალები პარტიის საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით იწყებოდა, მასში ნათქვამი იყო, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები რეფერენდუმს წარმოადგენდა, სადაც ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა, აირჩევდა ომს თუ მშვიდობას, მორალურ დეგ-

რადაციას თუ ტრადიციულ ფასეულობებს, ქვეყნის განადგურებას თუ მის ნათელ, ევროპულ მომავალს.[1]

განათლების სფეროზე საუბრისას ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა, კერძოდ, განათლების დაფინანსება 4-ჯერ იყო გაზრდილი 2012 წლის შემდეგ, უფასო საბავშვო ბაღების საკითხი სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივას წარმოადგენდა და დღემდე საბავშვო ბაღები ქვეყანაში უფასო იყო. დამატებით, ამოქმედებული იყო უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა, რომელიც სწორედ „ქართული ოცნების” ინიციატივა იყო, ასევე საპატრიარქოს საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერაც მათი დამსახურება იყო, რომელიც თავის მხრივ, მომავალში აქტიურად გაგრძელდებოდა. რაც შეეხებოდა საბავშვო ბაღებს, 12 წლის განმავლობაში მოხდა 836 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით. პრემიერ-მინისტრის თქმით, ინფრასტრუქტურა საგრძნობლად იყო გაუმჯობესებული, ხოლო 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა უკვე დაწყებული იყო, ამ პროგრამის ფარგლებში 250-მდე საბავშვო ბაღის სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციაც მიმდინარეობდა.

რაც შეეხებოდა სკოლებს, ირაკლი კობახიძის განმარტებით, 174 ახალი სკოლა იყო აშენებული 12 წლის განმავლობაში, რეაბილიტაცია განხორციელდა 1000-ზე მეტი სკოლის შემთხვევაში. ეს იყო სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია და მიმდინარეობდა 96 სკოლის მშენებლობა და 200-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია, 4 წლიანი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო მთლიანობაში 500-ზე მეტი სკოლის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

პრემიერ-მინისტრის მიხედვით, 2024 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები, კერძოდ, საშუალოდ 500 ლარით იყო გაზრდილი მასწავლებელთა ხელფასები საჯარო სკო-

[1] „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვა, „ქართული ოცნების“ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა.

ლებში, ხელფასების ზრდა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდებოდა.

პროფესიული სასწავლებლების შემთხვევაში, 200 მილიონი იქნებოდა გათვალისწინებული შემდეგი 4 წლის განმავლობაში ამ სასწავლებლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის. მეცნიერების ბიუჯეტის მთლიანი დაფინანსება 2012 წელს შეადგენდა 15.4 მილიონ ლარს, ხოლო 2024 წელს იგივე მაჩვენებელი 78.2 მილიონ ლარს აჭარბებდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ მთლიანობაში მეცნიერების დაფინანსება 5-ჯერ იყო გაზრდილი.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, მას სურდა წარმოედგინა მორიგი ამბიციური პროექტი, რომელიც უკავშირდებოდა თბილისისა და ქუთაისის კამპუსებს. 2024 წლის მონაცემებით, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურა სათანადოდ არ იყო განვითარებული, იმისთვის რომ ქართველ სტუდენტებს საქართველოში ჰქონოდათ თანამედროვე სტანდარტების უნივერსიტეტებში სწავლის საშუალება, დაგეგმილი იყო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად გაფართოება, რაც ნიშნავდა იმას, რომ „ქართული ოცნების“ გეგმით სტუდენტების რაოდენობა აღნიშნულ უნივერსიტეტში 20 000-ზე მეტი სტუდენტი უნდა ყოფილიყო (5000-თან შედარებით) უნდა ყოფილიყო. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად თანაბარმნიშვნელოვანი კერა უნდა გამხდარიყო, რაც ზოგადად ქუთაისის რეგიონულ განვითარებასაც შეუწყობდა ხელს. პრემიერ-მინისტრის მიხედვით, ამ პროექტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ჰქონდათ დაპირება, რომ მისი დახმარებით სერიოზული ინვესტიცია იქნებოდა ჩადებული აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

პარლამენტის ყოფილ შენობაში ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბი შეიქმნებოდა, სადაც განთავსდებოდა ტექნო-პარკი, ინტერაქ-

ციული სამეცნიერო მუზეუმი, საერთაშორისო IT-სკოლა და საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების ოფისები.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაფართოების პარალელურად „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა ამოცანა, რომ რუსთავის მიმდებარედ, თბილისსა და რუსთავს შორის განევითარებინათ სრულიად ახალი კამპუსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა თანამედროვე, მათ შორის სასწავლო ინფრასტრუქტურით, საერთო საცხოვრებლებით, სპორტული ინფრასტრუქტურით, ყველაფერი იქნებოდა უზრუნველყოფილი ისე, რომ სტუდენტებს თვითრეალიზების საშუალება ჰქონოდათ. გარდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა, პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო სწავლების შინაარსის გაუმჯობესება, რადგან 2024 წელს უნივერსიტეტებში უამრავი პრობლემა არსებობდა, კერძოდ, არ იყო დამაკმაყოფილებელი სწავლების, სახელმძღვანელოების ხარისხი, ადამიანური რესურსების კუთხით საჭირო იყო სერიოზული განვითარება და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად ყველაფერი გაკეთდებოდა იმისათვის, რათა საუნივერსიტეტო რეფორმა აბსოლუტურად ყველა მიმართულებით განხორციელებულიყო. ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს სრული რესურსი ჰქონდა იმისთვის, რომ 2028 წლისთვის ქვეყანაში სტუდენტს მიეღო ზუსტად იმავე ხარისხის განათლება (ყოველ შემთხვევაში სპეციალობათა უმრავლესობაში) რა განათლებასაც ისინი ევროპულ უნივერსიტეტეტებში იღებდნენ. მთავარი სისტემური მიდგომა და საფუძვლიანი რეფორმის განხორციელება გახლდათ და სწორედ ეს იყო „ქართული ოცნების“ ამბიციური მიზანი შემდეგი 4 წლის განმავლობაში.

ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა

4 სექტემბერს „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ საარჩევნო პრიორიტეტები წარადგინა. ხუთ პრიორიტეტს შორის დასა-

ხელებული იყო: კი ევროპას, შემოსავლების ზრდა, პენსიონერების დაცვა, ძლიერი ოჯახი და ფასების მაფიის დასრულება. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ მიხედვით, საჯარო სკოლებში უფასო კვება უნდა დანერგილიყო. აღნიშნულის განხორციელება მნიშვნელოვანი იყო საჯარო სკოლებში განათლების ხარისხის გასაზრდელად. გამარჯვების შემთხვევაში, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ სტუდენტებს პირდებოდა, რომ საერთო საცხოვრებლის მშენებლობაში დიდი ინვესტიციები ჩაიდებოდა.

„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ დიდ რესურსებს ჩადებდა საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა საბავშვო ბაღებში ყველა ბავშვი ხარისხიანი სკოლამდელი განათლებითა და სათანადო კვებით ყოფილიყო უზრუნველყოფილი.[2]

კოალიციის ღონისძიებაზე, 18 სექტემბერს „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ჯაფარიძემ სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ შეკითხვას უპასუხა. მისი განმარტებით, სტუდენტებისგან არაერთხელ მოუსმენია, რომ უძილობისგან დაღლილ სტუდენტს ლექციაზე ეძინებოდა და ვერ ისმენდა, რადგან უამრავი მიზეზის გამო მათ კითხვის დრო არ ჰქონდათ, იყო შემთხვევები, როცა გამოფიტული სტუდენტები საკვების ნაკლებობასაც განიცდიდნენ. საქართველოში კამპუსების ტიპის უნივერსიტეტები უნდა ყოფილიყო, რადგან კერძო უნივერსიტეტებს ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს თუ ევროპის

[2] ინტერპრესნიუსი. (2024, 17 სექტემბერი). *თინა ბოკუჩავა - ყოველ ახალშობილზე ოჯახები ყოველთვიურად, 1 წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან მიიღებენ - პირველ შვილზე 500, მეორე შვილზე - 1000 და მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე 1500 ლარის მხარდაჭერას.* https://www.interpressnews.ge/ka/article/812577-tina-bokuchava-qovel-axalshobilze-ojaxebi-qoveltviurad-1-clis-ganmavlobashi-saxelmciposgan-miigeben-pirvel-shvilze-500-meore-shvilze-1000-da-mesame-da-qovel-momdevno-shvilze-1500-laris-mxardacheras/

კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მსგავსი კამპუსები არ ჰქონდათ. გია ჯაფარიძის მიხედვით, კამპუსი არ იყო მხოლოდ საცხოვრებელი, ის წარმოადგენდა სოციალურ ურთიერთობებს, ისევე როგორც გართობის ელემენტს, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო სწავლის შემადგენელი ნაწილი. აქედან, სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტებს ის წინაღობები უნდა მოხსნოდათ, რომლებიც არსებობდა.[3]

„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ 5 პრიორიტეტის, ძლიერი ოჯახის პუნქტში განმარტებული იყო, რომ მასწავლებლების მინიმალური ხელფასი 2000 ლარი იქნებოდა, დამსახურებულ მასწავლებლებს ბინები ექნებოდათ, ხოლო სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლისა და ბინის ქირის სუბსიდირება მოხდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და განათლების მიმართულების წარმომადგენლებთან შეხვედრებიც გამართეს და განათლების დეკლარაციას მოაწერეს ხელი. კოალიციის განმარტებით, იმ დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომელიც განათლებას პარტიული წნეხისგან და პოლიტიკური ზეწოლისგან გაათავისუფლებდა. განათლება, ისევე როგორც ქვეყანა ოლიგარქიული რეჟიმისგან უნდა განთავისუფლებულიყო და 26 ოქტომბრიდან პროდასავლური მთავრობა განათლების სისტემის წინ წაყვანას ევროპული სტანდარტებით დაიწყებდა.[4]

---

[3] ინტერპრესნიუსი. (2024, 18 სექტემბერი). *გია ჯაფარიძე - პირობას ვდებთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტებს მოეხსნებათ ის წინაღობები, რომლებიც დღეს არსებობს.* https://www.interpressnews.ge/ka/article/812745-gia-japarize-pirobas-vdebt-rom-saxelmcipos-mxridan-universitetebs-moexsnebat-is-cinagobebi-romlebic-dges-arsebobs/

[4] ინტერპრესნიუსი. (2024, 22 ოქტომბერი). *„ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ განათლების დეკლარაციას ხელი მოაწერა“.* https://www.interpressnews.ge/ka/article/817270-ertianoba-nacionalurma-mozraobam-ganatlebis-deklaracias-xeli-moacera/

კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა

„კოალიცია ცვლილებისთვის“ საარჩევნო პროგრამის განმარტებით, აღნიშნული კოალიცია იყო ერთობა, რომელიც უბრალოდ არსებულ მმართველობას კი არ ჩაანაცვლებდა, არამედ სრულად შეცვლიდა რეალობას. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უარს ეუბნებოდა „ქართულ ოცნებას“ და ირჩევდა გზას მომავლისკენ. ირჩევდა არა უბრალოდ მმართველი ძალის ჩანაცვლებას, არამედ ხელშესახებ და ფუნდამენტურ ცვლილებებს, რაც ევროპულ მომავალს მოიტანდა და შექმნიდა შესაძლებლობების ეკონომიკას ყველასთვის. ცვლილებები მომავალ თაობას მისცემდა საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას და მათ არ მოუწევდათ სამშობლოს დატოვება.

საარჩევნო პროგრამის მიხედვით, 2028 წლისთვის განათლების სფეროს დაფინანსება სამჯერ გაიზრდებოდა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს მიაღწევდა. თითოეულ ბავშვს ექნებოდა საკუთარი საგანმანათლებლო დეპოზიტი - „ცოდნის ყულაბა“. საბავშვო ბაღის ასაკიდანვე მასში განთავსდებოდა წლიური თანხა, რომელიც განათლების დაფინანსებაზე იქნებოდა გათვლილი, ხოლო თანხის განკარგვა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის იქნებოდა შესაძლებელი. მშობელს ექნებოდა საშუალება, შვილის დეპოზიტი საჯარო თუ კერძო სექტორში მიემართა. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ბაღი ან სკოლა უფრო ნაკლები ღირებულების იქნებოდა, ვიდრე წლიური დეპოზიტი, მშობელს შეეძლებოდა დაეგროვებინა ნაშთი განათლების შემდგომი საფეხურებისთვის, ან გამოეყენებინა ის სპორტულ-სახელოვნებო მიმართულებებზე.

დაფინანსების რეფორმის შედეგად, თითოეული ბავშვის სკოლამდელი განათლება წლიურად 2500-ით, ხოლო სასკოლო - 5000 ლარით დაფინანსდებოდა. შედეგად, სკოლაში უზრუნველყოფილი იქნებოდა კვება, გაორმაგდებოდა მასწავლებლებისა და აღმზრდე-

ლების ხელფასი, მასწავლებლის პროფესია მიმზიდველი და დაფასებული გახდებოდა, დაფუძნდებოდა ახალი ბაგა-ბაღები და სკოლები, განათლების სექტორში კონკურენცია გაიზრდებოდა, ახალი კერძო ბაგა-ბაღებისა და სკოლების დაარსების შემდეგ დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდებოდა და ბაღები/სკოლები თანამედროვე ევროპული დონის ლაბორატორიებით და ინფრასტრუქტურით იქნებოდა უზრუნველყოფილი.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახადი კონკრეტულ უნივერსიტეტში უფრო დაბალი იყო, ვიდრე წლიური დეპოზიტი, სტუდენტს შეეძლებოდა თანხა როგორც შემდგომი საფეხურისთვის, ისე სხვა საგანმანათლებლო მიზნებისთვის შეენახა. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ან რეგიონში მცხოვრები არცერთი სტუდენტი განათლებისა და სტუდენტური საცხოვრებლის გარეშე არ დარჩებოდა. 2028 წლიდან საუნივერსიტეტო განათლება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სრულად დაფინანსდებოდა. სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ავტორიზაციის პირობებში, სტუდენტთა საცხოვრებლების აშენების ვალდებულება ექნებოდათ და შესაძლებლობა მიეცემოდათ, სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (რომელსაც საგანმანათლებლო ფუნქცია არ აქვს) გამოეყენებინათ. მსოფლიოს 50 საუკეთესო რეიტინგულ უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების სწავლა სრულად დაფინანსდებოდა, ხოლო მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება დასაქმების გარანტია გახდებოდა.

მოხდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაქსიმალური განკერძოება, დაფინანსდებოდა როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა. უზრუნველყოფილი იქნებოდა ბაზარზე აუცილებელი და მაღალანაზღაურებადი პროფესიებისა და კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების განვითარება, ხოლო მსხვილ პროექტებში უმეტესწილად საქართველოს მოქალაქეების დასაქმება.

პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი და დეცენტრალიზებული განათლების სისტემის კუთხით, ყველა მოსწავლეს ხარისხიან განათლებაზე, სასკოლო კვებაზე და სხვა საგანმანათლებლო სერვისებზე თანაბარი წვდომა ექნებოდა. ინფრასტრუქტურული საკითხები მუნიციპალიტეტებს გადაეცემოდა, პრობლემები გადაიჭრებოდა ადგილზე, სწრაფად და ეფექტურად. გამოცდაზე კომპეტენციის დადასტურების შემდეგ სკოლის დირექტორის შერჩევისა და არჩევის საკითხი სრულად დელეგირებული იქნებოდა სკოლაზე. ბოლოს, მასწავლებლის პროფესიული განვითარება მის ინდივიდუალურ საჭიროებებს დაეფუძნებოდა, ხოლო კერძო სკოლებში სახელმწიფოს როლი და ბიუროკრატიული რეგულაციები შემცირდებოდა.[5]

ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!

5 სექტემბერს ოპოზიციურმა გაერთიანებამ, „ძლიერი საქართველო: ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ საარჩევნო პროგრამა წარადგინა, რომელსაც „ილიას გზა“ უწოდეს. პროგრამის პრეზენტაცია საგურამოში, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან გაიმართა, სადაც ოპოზიციური გაერთიანების ლიდერებმა პროგრამის ძირითადი აქცენტები წარადგინეს. რატომ ილიას გზა? საარჩევნო პროგრამის განმარტებით, ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში იყო ფიგურა, რომლის აზრები და სახელმწიფოებრივი ხედვა საუკუნის შემდეგაც თანამედროვეობის შესატყვისი და უაღრესად აქტუალური იყო. აღნიშნული პროგრამა თანამოქალაქეებსაც მიმართავდა და აღნიშნავდა, რომ საქართველო მწვავე კრიზისის, სახელმწიფოს დაკარგვის წინაშე იდგა, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, საქართველოზე წინ მუდმივად რუსეთის ინტერესებს აყენებდა.

[5] „კოალიცია ცვლილებისთვის“, საარჩევნო პროგრამა - „მომავალი შენია“.

„ძლიერი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურებზე, სისტემა უნდა განთავისუფლებულიყო სახელისუფლებო და პარტიული წნეხისგან დეცენტრალიზაციის რეალური გარანტიებითა და საზოგადოების თანამონაწილეობით, ამასთანავე, ყველასთვის ევროპული სტანდარტის უნდა დამკვიდრებულიყო: დაფასებული პედაგოგიური პერსონალით, გამართული ინფრასტრუქტურით, სასკოლო კვების სისტემის შექმნით და სტუდენტური საცხოვრებლის უზრუნველყოფით.

პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ 2024 წლის საქართველოში განათლების კუთხით პრობლემები ყველა ქვე-სექტორში იყო: სკოლებში, საბავშვო ბაღებში, უნივერსიტეტებში და პროფესიულ სასწავლებლებში, სახელოვნებო ცენტრებში თუ სასპორტო განათლებით დაკავებულ ორგანიზაციებში.

საარჩევნო პროგრამის განმარტებით, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ორ უმნიშვნელოვანეს პრობლემას იწვევდა და აღრმავებდა განათლების არასწორი პოლიტიკა, რადგან განათლების დღევანდელი პოლიტიკის პრობლემებს შორის არსებობდა განათლების არადემოკრატიულობისა და მისი სისტემის პარტიულ ინტერესებზე დაქვემდებარების ფაქტები. განათლების სისტემა დაშორებული იყო საზოგადოებას და საპირისპიროდ, ის მმართველი პარტიის ინტერესებს იყო დაქვემდებარებული. სამწუხაროდ, ხელისუფლებას მასწავლებელთა კორპუსი მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როცა მათი საარჩევნო ინსტრუმენტად გამოყენება სურდა, რის გამოც მასწავლებლები მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. სწორედ ამის გამო, არა მხოლოდ სკოლები, არამედ ბაგა-ბაღებიც მთლიანად პოლიტიზებული და პოლიტიკურ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მმართველი პარტია საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომი-

ას ლახავდა, რაც გამოიხატებოდა სკოლის დირექტორების, უნივერსიტეტების რექტორების, საბავშვო ბაღებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრების ხელმძღვანელების დანიშვნა-განთავისუფლებაში. პარტიულ ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა ხელს უშლიდა პროფესიონალთა უნარების გამოყენებას განათლების პრობლემების მოგვარების კუთხით, გრძელვადიანი, თანმიმდევრული პროგრამების დანერგვას და სამეცნიერო საფუძვლის მქონე გადაწყვეტილებების მიღებას. ბოლო 30 წლის განმავლობაში განათლების სფეროში მუდმივი ცვლილებების მიუხედავად, მართვის საბჭოური, „ზემოდან ქვემოთ“ პრინციპი კვლავ ძალაში რჩებოდა, რის გამოც ვერც სისტემა ვითარდებოდა და ვერც სასურველი შედეგი მიიღწეოდა. განათლების პოლიტიკის ვერტიკალური მოდელით მართვა განათლების მიღების პროცესში დემოკრატიულობის შეზღუდვასაც იწვევდა.

ერთი მხრივ, განათლების სფეროს, განსაკუთრებით კი განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება არ იყო სახელმწიფოს პრიორიტეტი. მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელს არ უწყობდა დამატებითი მატერიალური და ფინანსური რესურსების ისეთ მობილიზებას კერძო სექტორიდან, რაც სისტემური პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფდა. ამგვარად, განათლების ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოუქნელი და არაეფექტური ბიუროკრატიის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული.

„ძლიერი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამის განათლების პოლიტიკის ინიციატივების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბაღების რაოდენობა უნდა გაზრდილიყო, უნდა შემუშავებულიყო სასკოლო პროგრამა, აშენებულიყო და ამოქმედებულიყო სტუდენტური საცხოვრებელი, უნდა აღჭურვილიყო და განახლებულიყო კვლევითი ლაბორატორიები და ბოლოს, უნდა მომხდარიყო პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, უნივერსიტეტებში კვლევის მონაცემთა დამუშავება და მართვის სისტემები (ელ. სისტემა, ეთიკის კომისიების ამუშავება) უნდა განვითარებულიყო, ხოლო სტუდენტთა კვლევითი პროექტების დაფინანსება უნდა გაზრდილიყო. ადგილობრივი მთავრობის, ბიზნესის და უნივერსიტეტების თანამშრომლობით კვლევით პროექტებს ხელი უნდა შეწყობოდა, ამასთანავე, უნდა შემუშავებულიყო ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. საერთაშორისო თანამშრომლობას (საგრანტო პროგრამები) ხელი უნდა შეწყობოდა, ხოლო ლაბორატორიათა აღჭურვის პროგრამა უნდა ამოქმედებულიყო. კვლევითი ასოციაციების და მათი სამეცნიერო ჟურნალების შექმნა და განვითარება უნდა წახალისებულიყო, რაც შეეხებოდა კავკასიოლოგიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებას, მასაც ხელი უნდა შეწყობოდა საგრანტო და სასტიპენდიო პროგრამების მეშვეობით. რუსეთის საინფორმაციო აგრესიის გასანეიტრალებლად ობიექტური სამეცნიერო პლატფორმა უნდა შექმნილიყო. ენობრივი რესურსების შექმნის მიზნით, როგორც ქართულისა და აფხაზურის, ისე საქართველოში გავრცელებული სხვა ენების გასაძლიერებლად მიზნობრივი დაფინანსება უნდა შემოღებულიყო. საბოლოო ჯამში, „ძლიერი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამის განათლების მიმართულების ზოგადი ინიციატივების კუთხით შემდეგი კრიტერიუმები იყო დასახელებული: 1. შ.შ.მ. პირებისთვის ყველა საფეხურზე საგანმანათლებლო გარემოსთან ადაპტირება. 2. განათლების დაფინანსების ზრდა. 3. საჯარო რესურსების კვლევების დაფინანსების ზრდა და სხვა.[6]

გახარია საქართველოსთვის

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის „საქართველოსთვის“ საარჩევნო პროგრამა შემდეგი

[6] „ძლიერი საქართველო“, საარჩევნო გეგმა - „ილიას გზა“.

სლოგანის ფონზე იქნა წარდგენილი: „ნამდვილი მშვიდობით, ნამდვილი ღირსებით, ნამდვილი კეთილდღეობით ევროპისკენ“. საარჩევნო პროგრამის პრეამბულა მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ისინი ააშენებდნენ, თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა და სოლიდარობის იდეებს დაეფუძნებოდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ ის პოლიტიკური ძალა, ვისაც შეეძლო საქართველო სამშვიდობოს გაეყვანა.

პარტიის 2024 წლის საარჩევნო პროგრამის მიხედვით, რომელსაც „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“ ერქვა, ხარისხიანი და საყოველთაო განათლების კუთხით განმარტებული იყო, რომ განათლება ფუნდამენტურ საფუძველს ქმნიდა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის და მისი თითოეული წევრის განვითარებისთვის. ის შესაძლებლობას აძლევდა ადამიანს ჩამოყალიბებულიყო თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქალაქედ და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი სიკეთის და კეთილდღეობის შექმნაში. საყოველთაო და ხარისხიანი განათლების დახმარებით, შესაძლებელი იყო უთანასწორობის შემცირება, საზოგადოებრივი სოლიდარობისა და ერთობის დამკვიდრება, ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ამაღლება და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

„გახარია საქართველოსთვის“ გუნდის მიზანი ისეთი საგანმანათლებლო მოდელის შექმნა იყო, რომელიც ყველასთვის ხარისხიან და ინკლუზიურ განათლებას უზრუნველყოფდა, ხელს შეუწყობდა კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის განვითარებას, პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფდა აკადემიურ, ემოციურ და სოციალურ ზრდას და ცხოვრების მანძილზე გადამზადებისა და სწავლის შესაძლებლობას.

განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, რომელიც ფუნდამენტური საკითხი იყო, მითუმეტეს სოციალური კეთილ-

დღეობისა და სამართლიანობის მისაღწევად, სისტემას უნდა უზრუნველყო საყოველთაო ხელმისაწვდომობა განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა, მოემზადებინა თითოეული მოქალაქე აქტიური სამოქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, უზრუნველეყო მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისობა თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. განათლების უნივერსალური ხელმისაწვდომობა მიიღწეოდა სოლიდარული სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს ფარგლებში. განათლების სისტემის რეფორმის მიხედვით, განათლება უნდა ინტეგრირებულიყო ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან. ის მოიაზრებდა მაღალკონკურენტული და კვალიფიციური კადრების მომზადებას, სამომავლო ტენდენციებისა და შრომის ბაზრის არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

საარჩევნო პროგრამის მიხედვით, განათლების რეფორმა ყველა სექტორს მოიცავდა, მათ შორის სკოლამდელ, დაწყებით, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურებს. დამატებით, ხედვა აერთიანებდა მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევითი პროცესის განვითარებას, რაც სისტემის გრძელვადიანი განვითარებისა და მდგრადობის საწინდარი იყო.

ხარისხიანი განათლების კუთხით, განათლების ყველა საფეხურზე კვალიფიციური სასწავლო და სამეცნიერო კადრების მოზიდვა უნდა მომხდარიყო და მათთვის მიმზიდველი და ღირსეული შრომის პირობები უნდა უზრუნველყოფილიყო. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და აკადემიური თავისუფლების მიმართულებით უნდა მომხდარიყო ამ საქმიანობის განვითარება. სკოლების და პროფესიული სასწავლებლების სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად უნდა მომხდარიყო განათლების სისტემის მართვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა, ავტონომიურობისა და

დეცენტრალიზაციის გაძლიერება და სისტემის გამჭირვალობა. პედაგოგების და სასწავლო დაწესებულებათა პერსონალის ხელფასების ზრდის სამართლიანი და პროგნოზირებადი მოდელი უნდა შექმნილიყო, ხოლო პედაგოგები უნდა გათავისუფლებულიყვნენ სხვა დამატებითი არასაჭირო ფუნქციებისგან, რომელიც არ იყო დაკავშირებული მათ უშუალო პედაგოგიურ და აღმზრდელობით საქმიანობასთან. განათლების სისტემაში აკადემიური და სამეცნიერო კადრების მოზიდვა და მხარდაჭერა უნდა განხორციელებულიყო, როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების წინაპირობა. განათლების ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის მიმართულებით, უნდა მომხდარიყო განათლების ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, ამასთანავე, ინკლუზიურ სასწავლო გარემოსთან სასწავლო ინფრასტრუქტურის ადაპტირება და საერთაშორისო დონორ და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარება, ისევე როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია.

განათლების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია უნდა ქცეულიყო სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამად.

განათლების ხელმისაწვდომობისა და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფის კუთხით, უნდა მომხდარიყო რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაცია და მათი ეფექტიანი გამოყენება, ისევე როგორც განათლებისა და ეკონომიკის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება, ინოვაციური, მაღალ-ტექნოლოგიური ინდუსტრიული სექტორისთვის ხელის შეწყობა. უნდა განხორციელებულიყო როგორც განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტის ზრდის, ისე საგან-

მანათლებლო, მომზადებისა და გადამზადების შესაძლებლობათა დივერსიფიცირება.

„საქართველოსთვის“ საარჩევნო პროგრამის მიხედვით, უნდა განვითარებულიყო სტუდენტური გრანტებისა და დაფინანსების სისტემა, მომხდარიყო საგრანტო დაფინანსების დივერსიფიკაცია, რათა პროფესიათა სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. აღნიშნული პოლიტიკა ხელს შეუწყობდა შესაბამისი კვალიფიკაციის მუშახელის მომზადებას. დამატებით, სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობა (განსაკუთრებით რეგიონულ ცენტრებში) პრიორიტეტი იქნებოდა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი საცხოვრებლის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან განათლების ხელმისაწვდომობას. ამასთანავე, სტუდენტური დასაქმებისა და კარიერული ზრდის ბანაკი შეიქმნებოდა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა შრომის ბაზარზე შესვლისა და პროფესიული ზრდის პერსპექტივები უფრო ეფექტურად ემართათ.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით, აუცილებელი იყო მეტი ინვესტიცია და ფოკუსირება კვლევებსა და ინოვაციებზე გამოყენებითობის გასაზრდელად. მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტებისა და ადგილობრივი სამეცნიერო ინსტიტუტების უახლესი მიღწევების შესაბამისად აღჭურვა და კერძო სექტორთან მათი თანამშრომლობის განვითარება.[7]

[7] „გახარია საქართველოსთვის“, საარჩევნო პროგრამა - „ღირსეული ცხოვრების მანიფესტი“.

დასკვნა

ამჟამად, საქართველოში განათლების სისტემა აშკარა კრიზისშია, რასაც თავის მხრივ, პოლიტიკური ჩარევა, ფინანსური შეზღუდვები და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ამძიმებს. მნიშვნელოვანი რეფორმების გარეშე (მასწავლებელთა განვითარება, ინსტიტუციური ავტონომია, სტუდენტთა მხარდაჭერა) ქვეყანას შემდგომი საგანმანათლებლო და სოციალური დაქვეითება ემუქრება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაჭრა სწორედ ეროვნული პროგრესისთვის და პირველ რიგში, განათლებული, ავტონომიური და სახელმწიფოს განვითარებაში აქტიურად ჩართული მოქალაქის ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო.

ზემოთ შესწავლილი პოლიტიკური პარტიების 2024 წლის საარჩევნო პროგრამებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქართული ოცნების“ შემთხვევაში მას კლასიკური გაგებით საარჩევნო პროგრამის სახე არ აქვს, რადგან: 1. საარჩევნო პროგრამა მხოლოდ ვიდეოს სახის მოიპოვება და არა ელექტრონული ფორმით. 2. საარჩევნო პროგრამაში ძირითადად საუბარია იმაზე, თუ რა გაკეთდა წარსულში და არა მომავალ ინიციატივებზე. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ მაგალითში უფრო ხუთი საარჩევნო პრიორიტეტი მოიაზრება (წინასაარჩევნო მარათონის პირობებში წარადგინეს) და არა საარჩევნო პროგრამა, თავისი კლასიკური გაგებით. ბოლოს, გამონაკლისს არც „კოალიცია ცვლილებისთვის - გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ წარმოადგენს, რადგან აღნიშნული კოალიციის საარჩევნო პროგრამა მხოლოდ 8-გვერდიანი დოკუმენტია. აქედან გამომდინარე, მკითხველს ლოგიკური კითხვა უჩნდება: რამდენად დასაშვებია ის, რომ საარჩევნო პროგრამა (ქვეყნის განვითარების ხედვა) მხოლოდ 8 გვერდს მოიცავდეს?

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ განათლების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოს პოლიტიკური პარტიების 2024 წლის საარჩევნო პროგრამებში განათლებას და მასთან

დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ მცირე ყურადღება ეთმობა. საპირისპიროდ, როგორც განათლების საკითხი, ისე საქართველოში ამ კუთხით არსებული უამრავი გამოწვევა ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების, განათლების ექსპერტებისა და სტუდენტური მოძრაობების მხრიდანაა შესწავლილი, რასაც არაერთი კვლევა, სტატია თუ სამეცნიერო კონფერენცია ადასტურებს.

ბიბლიოგრაფია

Biesta, G. (2009). *Good Education in an Age of Measurement: On the Need to Reconnect with the Question of Purpose in Education.* Educational Assessment Evaluation and Accountability, The Stirling Institute of Education, University of Stirling, UK.

Narmania, D. & Kharkheli, M. & Vardiashvili, N. & Makasarashvili, M. (2022). *THE ROLE, PROBLEMS AND CHALLENGES OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA (ON THE EXAMPLE OF TSU, FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS).* International Journal of Teaching and Education, Vol. X (1).

Tabatadze, S. & Dundua, S. (2022). *Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia.* Journal of Eurasian Studies, Volume 14, Issue 1.

Zimmermann, P. (2022). *Protests at Tbilisi State University: Student Housing and Educational Equity in Georgia.* HEINRICH BOLL STIFTUNG, TBILISI, South Caucasus Region. https://ge.boell.org/en/2022/07/01/protests-tbilisi-state-university-student-housing-and-educational-equity-georgia

გახარია საქართველოსთვის. (2024). *ღირსეული ცხოვრების მანიფესტი.*

კოალიცია ცვლილებისთვის. (2024). *მომავალი შენია.*

ნიქაბაძე, ა. (2022). *ვის ეკუთვნის უნივერსიტეტი?* მაუწყებელი. https://www.mautskebeli.ge/all-articles/570

ძლიერი საქართველო. (2024). *ილიას გზა.*

ჭანტურია, გ. (2024). *განათლების სისტემის შიზოფრენია - როგორ (არ) იცვლებოდა განათლების პოლიტიკა ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში.* სოციალური სამართლიანობის ცენტრი. https://socialjustice.org.ge/ka/products/ganatlebis-sistemis-shizofrenia-rogor-ar-itsvleboda-ganatlebis-politika-kartuli-otsnebis-mmartvelobis-periodshi?fbclid=IwY2xjawGULdhleHRuA2FlbQIxMAABHb6fIMdjJrLs3HHUK10aXPJcwGyY4uyJGLg09t8eY2beuP8fDGgEWCokeQ_aem_7aUyM9Lw3vaFvn9OAFaY4w

ჯანაშია, ს. (2024). *განათლების პოლიტიკის ფუნდამენტური პრობლემა.* Forbes Georgia. https://forbes.ge/ganathlebis-politikis-phundamenturi-problema/

Lado Grdzelishvili

The issue of education in the 2024 election programs of Georgia's political parties: Georgian Dream, Unity – National Movement, Coalition for Change, Strong Georgia, For Georgia

Abstract

This study aims to critically examine the education issue in Georgia through the lens of the 2024 election programs of Georgian political parties and draw key insights from the findings. It is undeniably clear that Georgia's education system is in deep crisis, exacerbated by political interference, financial constraints, and the country's challenging socio-economic conditions. Georgia risks educational and social decline without substantial investment in teacher development, institutional autonomy, and student support. A thorough analysis of the 2024 electoral programs reveals that education receives only marginal attention. Moreover, some political parties' so-called "electoral programs" fail to align with the fundamental concept of an electoral platform, a concerning issue explored in detail in the article's conclusion.

Keywords: Georgia, Education, Election programs, Political parties, Georgian Dream, Unity - National Movement, Coalition for Change, Strong Georgia, For Georgia.